მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მინერალური პიგმენტების (მუმია) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

30.08.2021

2021 წლის 19 აგვისტოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა „სკრინინგის განცხადება - ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მინერალური პიგმენტების (მუმია)) მოპოვება“.

პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. კომენტირებისათვის გამოქვეყნებული წიაღის ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია.

1.1. იმის გათვალისწინებით, რომ საქმიანობა გულისხმობს წიაღით სარგებლობას, არ არის წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორიცაა წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადა, ანუ რა პერიოდის განმავლობაში ექნება ადგილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებას.

1.2. არ არის მოცემული გადაწყვეტილების მიღებისათვის მთავარი მახასიათებლის - შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადებაში მხოლოდ აღნიშნულია: „სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 290-430 მ. სიმაღლეზე, ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. **სალიცენზიო ობიექტის სიახლოვეს (660-920 მ) მდებარეობს ეკლესია და მონასტერი.** სალიცენზიო ობიექტი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე. ობიექტი არ ხვდება დაცულ ტერიტორიებზე. რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და **წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე”.**

ვინაიდან, წიაღის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ამ ეტაპზე მათთვის უცნობია ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანია ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც სწორედ ამ ტიპის ინფორმაციის მოგროვებას, რისკების განსაზღვრას/შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას ემსახურება.

2. სკრინინგის განცხადებას ერთვის გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომლიც ასევე არ მოიცავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას. გეოსაინფორმაციო პაკეტით წარმოდგენილია „დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან“ „მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან/სანაპირო ზოლიდან“; ხოლო უახლოესი

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

დასახლებული პუნქტის გრაფაში მხოლოდ აღნიშნულია, რომ ეს არის „სოფ. ხიდი“. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის არეალიდან სახლების და/ან სხვა ტიპის ნაგებობების სიახლოვის და სოფლის სარგებლობაში არსებული მიწების სიახლოვის შესახებ.

3. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია **1970** წელს მომზადებული გეოლოგიური ანგარიში - რაც ადასტურებს საკითხის სრულფასოვნად შესწავლის საჭიროებას.

4. არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი, რომელის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამინისტრომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

5. ამასთანავე, გეოსაინფორმაციო პაკეტის თავი 12.6 „დასკვნები და რეკომენდაციები“ თანახმად, „წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან“. დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქმიანობის ზემოქმედების შესახებ ცოდნის გარეშე „შეთანხმება“ მხოლოდ ფორმალურად ხასიათს ატარებს და შედეგად, ხშირად, ლიცენზიის გაცემის შემდეგ საკითხი მოსახლეობასა და ლიცენზიანტს შორის დაპირისპირების საგანი ხდება. საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, კი სწორედ გარემოსდაცვითი გადაწყვტილების მიღების პროცესი უზრუნველყოფს.

6. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, **ობიექტის სიახლოვეში 100 მეტში განთავსებულია ელექტროგადამცემი ხაზი, ხოლო 660-920 მეტრში მდებარეობს ეკლესია და მონსატერი** (არ არის მითითებული რომელი), ხოლო წიაღითსარგებლობა იგეგმება მიწისქვეშა გამონამუშევრებით. საკითხი უნდა გახდეს სრულფასოვანი გარემოზე ზემოქმედების შეფასების საგანი.

ბოლოს, უნდა აღნიშნოს, რომ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ კიდევ ერთხელ წარმოდგენილია შაბლონური ‘დოკუმენტი’, რომელიც ტრადიციულად ვერ აკმაყოფილებს სკრინინგის განცხადებისათვის კანონით დადგენილ კრიტერიუმებს და არ იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.